

კომენტებს ან საპირობებს



— რატომ კვამს ამ ჩახუტებული ჩვენს დი-
რექტორს თავიში მოკლდები?
— ზემოთ რომ არ ბაიკებს და არ დააბეზულეს!

ნახ. ა. კანდელაკისა



ნახ. ნ. მალაზონიასი



— უფროსო! გურჯულაძე მთვრალი დაბრუნდა შესვენებიდან!
— რამ დათრო მავი უდღური, ერთნირად ვსვამდით?!

ნახ. გ. შინგალიასი



— რატომ შეიგი ვითელი კავი?
— შესვენებზე ვარ გამოსული და, სხვახურში დაბრუნება რომ არ
დაკვირდები!

სელომცარული,



სრუ კაცის „ქება“

დადიხარ, თითქოს შენს მეტი
არავინ არის ქვეყნად,
აღარ მოგწყინდა უსაქმოდ
ერთი ადგილის ტკეპნა?!

დაძრწი, ყველაფერს აკეთებ,
რომ ცინიკოსი გერქვას.
დაუსრულებლად „შაყირობ“,
გიყვარს ნაგავის ქექვა.

თითქოს ებოქა ვერ გიგებს,
„რთული აზრების“ პატრონს.
ნიჭს დაუწუნებ თვით ჭეგელს,
აინშტინის და პლატონს...

შესაფერისი საცოლე
ვერ შეარჩიე დღემდე,
ათი წლით უმცროსს იწუნებ,
თვრამეტი წლისას ეძებ.

უსმენ ჭორებს და ხითხითებ,
ანთხევ გესლსა და ბოღმას,
ათს რომ ვილაცა მოჭორავს,
შენ დაუმატებ ოცმაგს.

ორმოც წელს მიდწეული ხარ,
ცხოვრობ მშობლების ჯაფით,
აბუჩად იგდებ სხვის შრომას,
თვითონ არაფერს არ ჰქმნი.

ერთ ჭიქა ლუდში გაყიდი
სხვის ნაოფლარს და ნაშრომს,
თმაში ჭაღარამ დაგთოვა,
ბავშვობას მაინც არ თმობ.

მემკვიდრეობას არა ჰქმნი,
არც მემკვიდრეზე ფიქრობ,
ასკვნი: „გენიოსს“ ცოლ-შვილთან
არ ესაქმება თითქოს.

ხანდახან წუწუნს მოჰყვები,
ხან კიდევ „ბოღმა გახრჩობს“,
და „ბრძენი“ კაცის მსჯელობით
„არ ღირს სიცოცხლე!“—ამბობ!

სადღეგრძელოში სამშობლო
შენსავით არვის უყვარს,
გამოფხილდები, შესცქერი
ხელებში სხვათა ლუკმას.

პოეტი არვინ არ მოგწონს,
არც პროზაიკოსს ინდობ.
ჩუმ-ჩუმად წვალობ რალაცას
და თავი მოგაქვს დიდროდ.

ყველა სკვერსა და კაფეში
ისმის ტრაბახი შენი,
მუდამ სიბრძნეს რომ გვპირდები,
რალაცა შენც შეჰქმენი!

ისე პატარა კაცი ხარ,
შენზე მსჯელობა არც ღირს,
ჯერ შენს თავს ეცი პატივი,
მერე სისხლს — შენთვის დაღვრილს!

წარული პირველი

ლენინის რაიონის №27 სახლმართველოვას

მცხოვრებ ტყველიანის ქ. №13-ში, ბინა 33. სამოთახიანი ბინის ორი ოთახი მიკავია მე, ჩემს ცოლს, სამ ბავშვსა და ერთ სიდედრს (სულ ექვსი სული). მაგრამ მე, ფართის სიმცირის გამო, არ ვაწუხებ, ვინაიდან ჩვენს მშობლიურ დედაქალაქში საბინაო საკითხი, ჯერჯერობით, არ არის გადაჭრილი, ჩემზე გაჭირვებული ბევრია და, დაე ჯერ ისინი დაკმაყოფილდნენ. მე გწერ მოქალაქე რამაზ რომანოვის ძე ნოზაძეზე, რომელსაც უკავია ჩემი სამოთახიანი ბინის ერთი ოთახი და რომელთანაც მექვს საზიარო დერეფანი, სამზარეულო, აბაზანა და მასში მოთავსებული საჭირო ოთახი. მაგრამ მე ამასზე სადღა არაფერი არა მაქვს რადგან ჩვენს მზიურ დედაქალაქში საბინაო საკითხი, ჯერჯერობით, მთლიანად არ არის გადაჭრილი. მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ მოქალაქე რ. რ. ნოზაძე უხეშად არღვევს ელემენტარულ საყოფაცხოვრებო წესებს, რაც გამოიხატება შემდეგში: ხშირად მოდის გვიან (მაშინაც კი, როცა პირველ ცვლაში მუშაობს), ხმაურობს, პარკეტს განგებ აჭრიალებს (უნდა აღინიშნოს, რომ დერეფანში განსაკუთრებული გულისხმიერებით და კაპიტალურად არის დაგებული პარკეტი. ან არადა, ახლა სადღა აგებენ პარკეტს ცუდად?), სამზარეულოსა და აბაზანაში წყალს უყიარათოდ ხარჯავს (თითქმის ყოველდღე აცივებს სასამართლოს), მთელი დღე, ღამის 1-2 საათამდე, უკრავს მაგნიტოფონს მაღალ ხმაზე, უკრავს შეუფერებელ, ულტრამოდურ, უიდეო დასავლეთგერმანულ და ამერიკულ (აშშ) სიმღერებს, ხშირად არის ნასვამ მდგომარეობაში, რაც არააუდგოვიერია ჩემი ბავშვების მიმართ.

გთხოვთ, გააფრთხილოთ მოქალაქე რ. რ. ნოზაძე, რათა დაიცვას საყოფაცხოვრებო ცხოვრების საბჭოთა წესები. წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაასახლოთ ბინიდან, როგორც ჩემი მოზარდი ბავშვებისათვის კუდი მაგალითი.

დომენტი კლიმენტის ძე ციმიენტი
1969 წ. 2 სექტემბერი.

წარული მეორე

ლენინის რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსს!
მოქალაქე რამაზ რომანოვის ძე ნოზაძე ცხოვრობს ტყველიანის ქ. №13-ში, ბინა 33, სამოთახიანი ბინის ერთი ოთახი უკავია მას. მართალია, ჩვენს მშობლიურ, მზიურ დედაქალაქში საბინაო მშენებლობის საკითხი, ჯერჯერობით, მთლიანად არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ ამხანაგი რ. რ. ნოზაძე, უნდა მოვახსენოთ, რომ არის შესანიშნავი, ნამდვილი თანამედროვე ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც მუშაობს ტრიკოტაჟის კომბინატში და გვეგობს გადაჭარბებით ასრულებს. მეზობლებში გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, ზრდილობითა და თავმდაბლობით. უნდა მოვახსენოთ, რომ იგი რაციონალიზატორიცაა და ხშირად გვიან ღამემდე მუშაობს გამოგონებაზე. მაგრამ მის შრომით ნაყოფიერებაზე უარყოფითად მოქმედებს იმ სამოთახიანი ბინის ორ ოთახში მცხოვრები ბავშვების დაუცხრომელი და სიცოცხლით ალსავე მხიარული ყრიაშული.

გთხოვთ, მოქალაქე რ. ნოზაძეს აღმოუჩინოთ დახმარება და მისცეთ სადმე თუნდაც ერთოთახიანი იზოლირებული ბინა, რათა უფრო მეტი გაქანებითა და ენერგიით მოახმაროს თავისი ახალგაზრდული დიდი ენერჯია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის დიდ საქმეს.

ტყველიანის ქ. №13-ში მცხოვრებთა დავალებით
დომენტი კლიმენტის ძე ციმიენტი
1969 წ. 10 სექტემბერი.

წარული მესამე

მზრომელთა დავალებების თხილვისის საპალაქო საბჭოს
ალმასრულეზალი კომიტეტის თავმჯდომარას!
ასლი — ლენინის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსს!

ამ ერთი თვის წინ სათანადო ორგანოებს მივმართეთ საჩივრით მოქალაქე რამაზ რომანოვის ძე ნოზაძის უღირსი, საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებელი და მიუღებელი საქციელის შესახებ (ლოთობა, ამორალური საქციელი, საყოფაცხოვრებო ცხოვრების წესების უხეში დარღვევა, გაურკვეველი პროფესიის აღამიანებთან მეგობრობა. ინტრიგანობა და სხვ. და სხვ.). მაგრამ, სამწუხაროდ, ზემოხსენებულ სათანადო ორგანოებში მოკალათებულმა ბიუროკრატებმა ყურად არ იღეს ჩვენი დროული და მოქალაქეობრივი სიგნალი.

გთხოვთ დაუყოვნებლივ ჩაერთოთ ამ საქმეში და მოქალაქე რ. რ. ნოზაძე გაასახლოთ ზემოხსენებულ ბინიდან.

ტყველიანის ქ. № 13-ის მცხოვრებნი. 1969 წ. 17 ოქტომბერი

წარული მეოთხე

საპარტველოს სსრ მინისტრთა საბჭოს!
ასლი — გავით „კომუნისტის“ რედაქციასა და „ნიანს“
საპარტველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს!

უპვე რამდენიმე თვეა ჩვენი სამართლიანი და მრავალგზისი მოქალაქეობრივი სიგნალი მოქალაქე რ. რ. ნოზაძის აღვირახსნილი საქციელის შესახებ იჩქმალევა სათანადო ინსტანციებში მოკალათებული ბიუროკრატების მაგიდების უკრების ლაბირინთებში. მაგრამ არა და არა, არ იღვამა მოქ. რ. რ. ნოზაძის (მცხ. ტყველიანის ქ. №13, ბინა 33) თავგასულობა, რომელსაც მფარველობენ ზემოხსენებულ ინსტანციებში დროებით შეპარული მექრთამეები.

გთხოვთ, ჩერთოთ საქმეში თქვენი ავტორიტეტული გადაწყვეტილებით და ღირსეულად დაისაჯოს დამნაშავე.

განცხადებას თან ვურთავთ სათანადო დოკუმენტებს (27 ფურცელი)
ტყველიანის ქ. № 13-ის მცხოვრებნი 1969 წ. 20 დეკემბერი

წარული მესამე


ტყველიანის ქ. №13, ბინა 33
ელოტი! ამ ბარათს ზედამხედველ ვატან. კვირას რომ სვიდანიანზე მოხვალ, უსათუოდ წამოიღე (დედაშენს არ გააკეთებინო!) ლობიო, შენი ხელით ამოხელი. აქაურ საქმელს ჯერ ვერ შევებუე.

1970 წ. 27 იანვარი. შენი უსამართლოდ დაკარგული დომენტი

წარული მეორე და პრონოლოგიურად დაალაგა
რაფიელ მავულაშვილმა.



— შუგლზე ეტყობა, ღირამატორის
კაბინეტიდანაა გამოსული!




ნ.ხ. ზ. ლოლუასი

— მან ყველა ჩვენგანის გულში ჰკოვა ბინა!..
— სიტოცხლავი მიგმცა ბინა, უკეთესი იყო!



ნ.ხ. ზ. ფორჩხიძის

— მავა, არაქვე ფული, თორემ და-
მყვევლის!



— სხე ძვირად ნუ ყიდი მამ კარტოვოლს, თორემ ბაბაძე-ვემ გაჯრილან!
— ერთბაშად ხახვი არ იშოვო და ყურმეზუ არ დამაჭრა!

ინტერვიუ ჰორიზონტალურად

(სცენაზეა ამაყი ღიმილის რეპორტიორი. მიკროფონი ღამისაა სოსისივით ჩაბნობს. შორიანხლოს საწოლზე ვიღაც ტკივილისაგან იმანებება).

— ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი გადაცემა დასასრულს უახლოვდება. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღ აღამიანებთან, ვეწვეთ მათ „საბრძოლო პოსტებზე“: მეჩაივს — ჩაის ბუჩქთან, მომთვინიერებელს — ღობის ვალითან, მექისეს — აბანოში. ყველგან შეგვხვდა უღვიღი ღიმილი, ოპტიმიზმი და შრომის პათოსი. მაგრამ, მოგეხსენებათ, ზოგჯერ აღამიანსაც აქვს მძიმე, ნაღვლიანი წუთები. განა ასეთ დროს უნდა დავივიწყოთ იგი? აი, ახლა თქვენთან ერთად ვიმყოფებით სასწრაფო დახმარების ერთ გაქათბათულ პალატაში. ჩვენს წინაშე დგას... ბოლიშს ვიხიდი, წევს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პოპულარული მომღერალი რობერტინო ღლონტი. იგი ეს-ესაა მოიყვანეს აქ და გმირულად ებრძვის ბრმა ნაწლავის მწვავე შეტევას. ვინ იცის? მაგრამ განა ეს საკითხავია? შეხედეთ, ამ განსაცდელის უამს როგორ ინარჩუნებს სულიერ სიმშვიდეს (რობერტინო კვენისი. რეპორტიორი მიკროფონს მიუახლოვდება. შემდგომ მიკროფონი პირიდან პირთან გადადის).

— ბატონო რობერტინო, რას გრძნობდით, საავადმყოფოში რომ გამოგაქანეს?

— საშინელ ტკივილებს.

— ეს მაშინ, მაგრამ ახლა?

— ახლაც.

— თქვენ ვერ გამოვიტოვებ. ხომ გაქვთ იმედი, რომ ბრმა ნაწლავი დამარცხებული იქნება?

— კი, თუ გადავჩრდი.

— ღმერთია მოწყალე. ჰო, მართლა, ექიმები სად არიან?

— მისაღებში. დომინოს თამაშობენ.

— ოპერაციის რა ისმის?

— მე არ ვწვები.

— კარგსაც შევბით. ბრმა თუ რაღაცაა, საკუთარი ნაწლავია.

— არა, ექიმებს ვერ ვენდობი.

— ბატონო რობერტინო, საიდან ამხელა პესიმიზმი? (რობერტინო ნაძალადევიდ იღიმება) აბა, Смелее, Тореадор! ჰო, მართლა, ამ ვახსენებზე, რაიმეს ხომ არ უმღერებდით მაღლიერ ქართველ მაყურებელს?

— სიამოვნებით.

(ოდნავ წამოიწევა და „თავო, ჩემოს“ გაჭირვებით მღერის. თანდათან სუნთქვა ეკვრება. რეპორტიორი მიკროფონს მოაცილებს და უანგბადის ბალიშიდან ასუნთქებინებს, შემდგომ უკვე უანგბადის ბალიში მოძრაობს პირიდან პირთან).

— ბრავო, თქვენ საუცხოოდ მღერით პორიზონტალურად!

— მალხაზის სიკვდილისწინა არიის ხომ წაქციული ვასრულებ.

— შორს თქვენგან სიკვდილი. რა მიგანიათ მომღერლისთვის აუცილებლად?

— ჯანსაღი ბრმა ნაწლავი.

— რა არის თქვენი პობი?

(რობერტინო ძლივს ჩურჩულებს. რეპორტიორი ექიმივით მიუტანს ყურს პირთან).

— აბა, ღვინო, ღუღუღი, ქალები? (წაუღმერებს) ღვინოს სვამთ, ღუღუღს აძლევენ, ქალებს კი ენაცვალეებით, არა?

(რობერტინო თავს დაუქნევს მხოლოდ).

— რას ინატრებდით ახლა?

— რობერტინო (განწირული ხმით) — წყალი!

(რეპორტიორი წყალს ვერ ხედავს. საწოლის ქვეშ ღვინოს ტიკს შეამჩნევს და ახლა ტიკს მიუტანს პირთან. ავადმყოფი დაეწაფება. მალე სულმთლად მოეშვება).

— რას უსურვებთ ქართველ მაყურებელს?

(სამარისებური ღუმლი).

— უჰ, ჩაგვიძინათ, ბატონო რობერტინო? განისვენეთ ტკბილი ძილით, ვალმოხდილო ხელოვანო (ფრთხილად გაუსწორებს ზეწარს, მერე მაყურებელს მიმართავს).

ამით გამოთარებთ ჩვენს გადაცემას. გმადლობთ ყურადღებისათვის!

ჰარი ჰარალი.

1.

მდინარეზე გაღმა გასვლა ზღარბს წამებად ექცა მართლაც... ჰოდა, ერთხელ, ციკქნა თავში დიდი აზრი დაეხადა.

თავის აზრი, ნაფიქრალი გაუმხილა კურდღელს რილით: „რა იქნება, მდინარეზე საიმედო გავდოთ ხილი?“

მდინარეზე ახლა დიდნიც თუ გავდივართ გაჭირვებით, ხილს რომ გავდებთ, თავისუფლად ეალმა გავლენ ბაჭიებიც.“

კურდღელს აზრი მოეწონა, სისარულით ახტა-დახტა; იმავე დღეს მელას უთხრა — „ერთი აზრი დამეხადა: ყველას გვიჭირს გაღმა გასვლა, მთის მდინარე არის ფლიდი... მე მგონია, დროა უკვე, წყალზე გავდოთ მტკიცე ხილი.“

მელას აზრი მოეწონა, სახლში დიდხანს ველარ დადგა. საღამო ხანს მგელს გაანდო: „ერთი აზრი დამეხადა; ყველამ ვიცით, მთის მდინარე თუ რა გაუტანელია. ეჰ, რამდენი შეიწირა მან მგლის ლეკვი და მელია.“

ჰოდა, როცა გაჭირდება, გამოსავალს ვინ არ ეძებს?... ჩემი აზრით, საჭიროა, ხილი გავდოთ მდინარეზე.“

აზრი მგელსაც მოეწონა, იმავე დღეს დათვთან გაჩნდა: ჩუმად უთხრა: „მეზობელო, ერთი აზრი დამეხადა.“

შენ გაგიმხელ, რადგან მუდამ დაკვირვებულ კაცად გთვლიდი... რა იქნება, მდინარეზე ავაშენოთ ერთი ხილი?

ხილს ავაგებთ, შიში ნუ გაქვს მშენებლობის გართულების და უშიშრად გავლენ გაღმა მგელუკები, დათუნები.“

აზრი დათვმაც მოიწონა, და ძუნძულით გაჰყვა სერებს... მიეხალა ნადირთ მეფეს — მხეტია შორის უპირველესს.

წელში ოთხად მოიკეცა, ამის ნიჭი ჰქონდა მართლაც: „დიდებულო. მბრძანებელო, ერთი აზრი დამეხადა.“

კარგად იცი, მტკიცე მდინარე თუ არა მხეტებისთვის არის რაცა, — ბევრი კარგი შვილი უნდოდ შენს სამეფოს გამოსტაცა.

ბრძენი ხარ და ვაგვეგება, რომ ზარალი მოაქვს დიდი; რა იქნება, დავვროთ ნება, მდინარეზე გავდოთ ხილი!“

აზრი ღობსაც მოეწონა და ბრძანება გასცა სწრაფად... მალე ხილის მშენებლობამ მთის მდინარე ააქაფა, ააშენეს კოხტა ხილი. შეუყენეს ცხრა ბოძალი და დათვს კარგი აზრისათვის ღობსაც მისცა საბოძვარი.

ზეიმობდა ყველა... ბოლო არ უჩანდა ღობსს და ღობსს. ბრძენი დათვის სადღეგრძელო ჯიხვის ყანწით დაილია.

იღვა დათვი თავმომწონედ, შემოსილი ძოწეულით; მის ნიჭსა და აზრს აქებდა, ვინც კი იყო მოწვეული.

სუფრის ბოლოს იჯდა ზღარბი, არას ჰამდა, არას სვამდა... დაივიწყეს, — სულ პირველად აზრი ვისაც დაეხადა.

II

წყლის ტალღებმა გაზაფხულზე ლანქერები დასძრეს დიდი... და მდინარემ სულ წალეკა სანაქებო მათი ხილი.


იქნებ კარგად ვერ ააგეს, ან პროექტი იყო ცუდი? ან ცემენტი, ტონის ნაცვლად, დაახარჯეს ორი ფუთი?

გამოიყო კომისია, დაალაგეს ოქმთა წყება, დაადგინეს, რომ უაზრო იყო ხილის აშენება. „დათვი არის დამნაშავე!“ — განაცხადა ღობსა რისხვით, — „ეს აზრი მან ჩამაგონა, ჩამოხრჩობის არის ღირსი!“

აბურღულუნდა დათუნია, მოიგლიჯა ბალნის კონა: „მე არა ვარ დამნაშავე, აზრი მგელმა ჩამაგონა.“

მგელმა — მელას, მელამ — კურდღელს... ბოლოს ზღარბის ჯერიც დადგა. და გაროზგეს, — სულ პირველად, ვისაც აზრი დაეხადა.

ზურაბ კუხიანიძე



ჩიტი და მელაი

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორავ! გა-
დომხედე, რამე ვითხრა!
— მელაჯან, ვიცი, რა ეშმაკიცა
ხარ, მაგრამ ჩემი თავი გენაცვა-
ლოს ყველა ვარიანტში!
— ერთი ბაია გადმომიგდე, ვა-
ქაცურად ვთხოვ!
— შენ რა, ჩემი ბუდე საქულას
დუქანი ხომ არა გგონია?
— გადმომიგდე, თორემ, ხომ
იცი, არ მიყვარს ბევრი ბაზარი!
— წადი რა, ტოლი ნახე!
— მწყერჩიტავ, გეყოფა ამდენი
ლაი-ლაი და... თან საქმე!

— მომეშვი, ტო, ლატარიაში
ხომ არ მერგე?!
— ბოლო-ბოლო, მოვყუჩებ აქ
ფინკას, მოვჭრი მაგ ხეს და, სულ-
ერთია, ჩემი ვეჩნი ლუკმა გახდე-
ბი!
— იცი, რა? მაგი საკენკი ჩი-
ტებს დაუყარე!
— დურა ხომ არ დავაძრო?
— ააა! დუხით ვინდა გამა-
ფუჭო?
მელამ კბილები გააკრაქუნა,
„ახ ჩემი გული ვთოხლეო“, თქვა
და მოუსვა ბაყაყური.

ვანო ცინცაძე


ნახ. 3. კუცინასი.



— დმერთო ჩემო! მმცხრე საუკუ-
ნა!..


— ვის მივმართო, კეიმი?
— მე მგონი, სასამართლოს!

ნახ. 5. მანუკიანისა.



უგეგსტო.

ნახ. 6. ხიდუშვილისა.



— ზურიკო, რა ხმაურია იმ ოთახ-
ში?
— დედიკო და მამიკო თომბანას
თამაშობენ.

ნახ. 8. ჯინჯარაძისა.



კვლავრული კეიჯაში.



ქართული
ბიზნეს-პრესა

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ლუგვაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლჭავაძე
(პ/მზ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. გალაგონია,
ბ. ნიუნიაძე,
(მთავ. რედ.
მონადგილი),
ნ. შველიძე,
ო. ზელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნინაფი“.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Tბილისი, Сатирико-
юмористический
журнал «Нинафи».
ბმლ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მონადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილებებს
93-10-78.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლოზა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცვა ასაწყობად
25/XII-69 წ.
ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 22/I-70 წ.
ქალაქის ზომა
70×108¹/₈.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,4.
საქ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლოზის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14

შეკვ. № 3839.
შპ № 01920.
ბირაჟი 118.800.




საქართველოში მსახურდა მსახურდა მსახურდა

ხშირად მალაზიებში გასაყიდი საქონელი ბაზებშივე ნაწილდება.

1
1970

TV TV

საქართველო
საბჭოთა კავშირი
ИНДЕКС 76



საქართველო
საბჭოთა კავშირი
72
1970
5.11

— სადაა საქონელი?
— ჯერ მყიდველები მიიღე, საქონელს მერა რეისზე მოგიტან!

ნ.ბ. ბ. ლომიძისა